სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25075044931520

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200388368

რეგისტრაციის თარიღი

29.06.2020 წ

ნოტარიუსი: ელისო ყურაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N32.
ტელეფონი: 954897 მობ: 599508785

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასოცი წლის ოცდაცხრა ივნისს მე, ნოტარიუს ელისო ყურაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. N 32, მომმართა ბატონმა **დემური ინჯიამ,** რომელმაც მოითხოვა ბატონ **ლევან ბებიასათვის და ლაშა ტალიაშვილისათვის** მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

ბატონმა **დემური ინჯიამ,** განაცხადა, რომ არის შპს „კავშირგაბმულობის საშუალებებით მომარაგება" -ს (ს/კ 200013190) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი-დირექტორი, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 04/05/2018 15:02:41, განაცხადის რეგისტრაციის N B18049710.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ბატონმა **დემური ინჯიამ,** დაბადებულმა 28.12.1943 წელს მარტვილში, პირადი N 01014001180, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 147 ბ. 4.

მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე **დემური ინჯიას** და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანადასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასოცი წლის ოცდაცხრა ივნისს მე, **დემური ინჯიამ,** როგორც შპს « კავშირგაბმულობის საშუალებებით მომარაგება -ს (ს/კ 00013190) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი-დირექტორი, **ლევან ბებიას** დაბადებულს 06.07.1984 წელს ფოთში, პირადი N 42001010146 და **ლაშა ტალიაშვილს,** დაბადებულს 14.09.1992 წელს თბილისში, პირადი N 01005030351, მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილებები:

ერთდროულიად და/ან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოადგინონ ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის ინტერესები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში (არქიტექტურა, ზედამხედველობა და სხვა...), გამგეობაში, საკრებულოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ ორგანიზაცია - დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. მართონ ძრავი ნივთი, მდებარე, აწარმოონ ქ. თბილისში, ქუჩა ერწო N11-ში (ს/კ 01.12.08.011.029) მდებარე უძრავი ნივთის ასთან დაკავშირებული საქმეები, ხელი მოაწერონ უძრავი ნივთის გამიჯვნა/გაყოფა/გაერთიანების ხელშეკრულებებს, გააკეთონ აზომვითი ნახაზები, მოახდინონ მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება, შეიტანონ შესწორება და/ან ცვლილება უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემებში, გააკეთონ განცხადებები, წარადგინონ და მიიღონ ნებისმიერი დასახელების ცნობა, ინფორმაცია, დოკუმენტი. მოაწერონ ხელი ჩემი სახელით საჭირო დოკუმენტებს და შეასრულონ ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ელისო ყურაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცათ მიმნდობებს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 04/05/2018 15:02:41, განაცხადის რეგისტრაციის N B18049710.

მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური 12.00 ლარი, აქედან 10.00 ლარი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, ასევე სარეგისტრაციო საფასური 2.00 ლარი, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე.

მიმნდობი: შპს კავშირგაბმულობის საშუალებებით მომარაგება -ს
სახელით: დირექტორი

დემური
ინჯია _____

ნოტარიუსი: ელისო ყურაშვილი